პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი.

№ 98 (2461) ◉ ოთხშაბათი, 20 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

საქართველოს სპორტკავშირის ხელმძღვანელი ორგანოები

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს შემადგენლობა

აბაშიძე რ. ო.	ზედგინიძე ა. ა.	ოვანოოლიანი კ. ა.	ღოლობერიძე ა. ნ.
ახვლედიანი შ. ნ.	თავართქილაძე ბ. ვ.	პაიჭაძე ბ. ს.	ყარალაშვილი გ. გ.
ახვლედიანი ლ. ა.	თიკანაძე მ. ი.	პოპოვა რ. ვ.	შავლაყაძე რ. მ.
არხანგელსკი ა. ნ.	იაშვილი მ. ვ.	ყორდანია რ. ი.	ჩახვაძე რ. მ.
ბალავაძე ვ. მ.	იმედაძე თ. შ.	ყორყოლაძე გ. ი.	ჩერქეზია ო. ე.
ბაცელაშვილი ი. ბ.	იმნაძე რ. ვ.	ყურული ვ. ბ.	ჩერქეზიშვილი ნ. გ.
ბეროზაშვილი ი. გ.	კაკაბაძე მ. ვ.	ღენტი ვ. ო.	ჩიკვაიძე მ. ს.
ბრონნიკოვი მ. მ.	კარტოზია გ. ა.	როვავა ა. მ.	ჩიხლაძე მ. ფ.
ბოჭორიძე ი. ი.	კაჭახიძე თ. გ.	როსტიაშვილი ს. ს.	ჩოჩია ი. ს.
ბუაჩიძე ი. მ.	კობაიძე ა. ა.	ცხილაძე გ. ვ.	ცხვედაძე მ. ზ.
გარდაფხაძე კ. კ.	კიკნაძე ლ. ა.	სამსონაძე ვ. ა.	ცქიტიშვილი გ. კ.
გაფრინდაშვილი ნ. ტ.	კინწურაშვილი დ. ა.	სანაძე ლ. გ.	ჭილაია გ. ნ.
გაჩეჩილაძე გ. ი.	კოჩიევი უ. დ.	სალუქვაძე ე. ა.	ჭირაქაძე ა. ვ.
გეგელიძე თ. კ.	კუხიანიძე ვ. მ.	საღარაძე გ. რ.	ხაბეიშვილი ს. ე.
გელაშვილი გ. გ.	ლომაშვილი ჯ. ნ.	სირაძე ვ. მ.	ხვართქია ლ. ა.
გვახარია ნ. ვ.	მანაგაძე თ. ფ.	სიხარულიძე გ. ვ.	ხვედელიანი ი. რ.
გიგინეიშვილი ო. ი.	მატარაძე ლ. ნ.	სუხიშვილი შ. მ.	ხომერიკი თ. ი.
გოკიელი ე. ს.	მეიფარიანი ნ. გ.	სტეფანიანი ქ. ს.	ხორავა კ. მ.
გონაძე კ. მ.	მერკვილაძე გ. ნ.	ტაბატაძე ს. დ.	ხინველი ნ. ი.
გუბაზი ჯ. შ.	მეტრეველი რ. ვ.	უგულავა ი. ნ.	ხუროძე ა. ვ.
დვალიშვილი ნ. პ.	მეყანწიშვილი გ. ვ.	ფალავანდიშვილი ა. გ.	ჯანჯღავა ვ. ნ.
დიდიძე ვ. ე.	მხეიძე ა. ი.	ქავთარაძე ო. ა.	ჯიბლაძე გ. ნ.
დუმბაძე ნ. ი.	მყავანაძე შ. გ.	ქაჯაია მ. მ.	ჯინჭარაძე გ. მ.
ერმოლოვა ი. ე.	ნაცვლიშვილი დ. ა.	ქველიაშვილი შ. მ.	ჯუღელი მ. ნ.
ზაუტაშვილი კ. გ.	ნინოშვილი მ. გ.	ღარიბაშვილი ი. ი.	

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს წევრობის კანდიდატები

ბაზაძე კ. მ.	კინწურაშვილი შ. ვ.	მელია ა. ს.	ცერცვაძე ჯ. დ.
ბარათაშვილი ზ. დ.	კირვალიძე გ. პ.	რუხაძე ზ. პ.	ქონიაშვილი ო. გ.
გეგელია მ. გ.	კიშინსკი ო. ა.	ტყებუჩავა ს. ი.	ჩხიკვაძე დ. გ.
გიორგობიანი ა. ა.	კორინთელი ა. ს.	ხვედელიანი კ. მ.	

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი

ბეროზაშვილი ი. გ.	მანაგაძე თ. ფ.	სამსონაძე ვ. ა.	ჭილაია გ. ნ.
ბოჭორიძე ი. ი.	მეტრეველი რ. ვ.	სანაძე ლ. გ.	ჩოჩია ი. ს.
გონაძე კ. მ.	ღღენტი ვ. ო.	სიხარულიძე გ. ვ.	ჯანჯღავა ვ. ნ.
დიდიძე ვ. ვ.	რცხილაძე გ. ვ.	ფალავანდიშვილი ა. გ.	ჯუღელი მ. ნ.
კაკაბაძე მ. ვ.			

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის სარევიზიო კომისია

ამნიაშვილი მ. გ.	კლდიაშვილი მ. დ.	პროზეროვი კ. ა.	ღლონტი გ. ა.
ბოსტაშვილი შ. გ.	კინკაძე ვ. გ.	სპანდერაშვილი კ. ნ.	წერეთელი მ. ა.
გოდერძიშვილი გ. ა.	ლაზარევი მ. ს.	ქუთათელაძე შ. ი.	

სსრკ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე საკავშირო კონფერენციის დელეგატები

ბოჭორიძე ი. ი.	კობაიძე ა. ა.	მყავანაძე შ. გ.	სიხარულიძე გ. ვ.
გაფრინდაშვილი ნ. ტ.	კოჩიევი უ. დ.	რცხილაძე გ. ვ.	ღღენტი ვ. ო.
გონაძე კ. მ.	ლომაშვილი ჯ. ნ.	სანაძე ლ. გ.	ჩოჩია ი. ს.
გუბაზი ჯ. შ.	მეტრეველი რ. ვ.		

მეგობრეგის კეთილი სურვილეგი

საქართველოს სპორტკავშირის II კონფერენცია დიდი მოვლენა იყო რესპუბლიკის ფიზკულტურელთა ცხოვრებაში. მან შეაჯამა გასული მუშაობა და დასახა მომავლის ამოცანები. კონფერენციამ ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების სპორტკავშირებიდან მიიღო დეპეშები. ისინი საქართველოს ფიზკულტურელებს, სპორტსმენებს, კონფერენციის დელეგატებს უსურვებენ კვლავაც მაღლა ეჭიროთ საბჭოთა სპორტის დროშა. აი, რას ვკითხულობთ დეპეშებში:

მოსკოვიდან.

რსფსრ-ს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ მივესალმება საქართველოს სპორტკავშირის რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებს და ყველა ფიზკულტურელს უსურვებს ახალ წარმატებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის, ხალხთა ყოფაცხოვრებაში ფიზკულტურის დანერგვის საქმეში, ახალ სპორტულ მიღწევებს ჩვენი სამშობლოს სადიდებლად.

სპორტკავშირის პრეზიდიუმი

კიევიდან.

უკრაინის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ათმილიონიანი არმიის სახელით მხურვალედ მივესალმებით მოძმე საქართველოს სპორტკავშირის კონფერენციის დელეგატებს. ძვირფასო ამხანაგებო! გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

უკრაინის სპორტკავშირი

* * *

ანალოგიური შინაარსის, კეთილის სურვილებით აღსავსე დეპეშები მოვიდა აგრეთვე სომხეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, მოლდავეთის, უზბეკეთის, ლიტვისა და ესტონეთის სპორტკავშირებიდან.

კიდევ ექვსი რეკორდი

ბერლინში გამართულ გდრ-სა და სსრ კავშირის მოცურავეთა საერთაშორისო შეხვედრაზე პირველ დღეს დამყარებულ რეკორდებს მოჰყვა ახალი საკავშირო მიღწევები თავისუფალი სტილით ცურვაში.

100 მეტრზე ქალთა შორის ტაშკენტელმა ნ. უსტინოვამ აღნიშნული დისტანცია გაცურა 1.03,4-ში, 16 წლის მოსკოველმა ნ. ბისტროვამ — 1.03,8-ში (გოგონათა საკავშირო რეკორდი), ვაჟთა შორის 400 მეტრზე ცურვაში ს. ბელიცგეიშანმა (მოსკოვი) აჩვენა 4.23,1, ხოლო 800 მეტრზე — ვ. სკროზნიკოვმა — 9.19,9.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს კარგად გამოვიდნენ გ. პროკოპენკო და ვ. კუზმინი. პირველმა ჩ. იასტრემსკის (აშშ) მსოფლიო მიღწევა (2.29,6) გაიმეორა და დაამყარა ევროპის რეკორდი, ხოლო ვ. კუზმინმა ახალი შესწორება შეიტანა ევროპის რეკორდების ცხრილში, როცა 200 მეტრი ბატერფლაის სტილით გაცურა 2 წუთსა და 11,2 წამში.

მივუძღვენი კონფერენციას

ლ. ჟურული,
საბჭოთა კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადის ჩემპიონი

პატარაობიდანვე ვოცნებობდი რაიმე სასარგებლო გამეკეთებინა სამშობლოსათვის, ხალხისათვის, ვყოფილიყავი მათი ღირსეული შვილი. მიზნის განხორციელებაში დამეხმარა სპორტი. გამიტაცა ტყვიით სროლამ. ამ სახეობაში წარმატების მოპოვება ნიშნავს — შეგეძლოს დღეში რამდენიმე საათი თოფით ხელში იდგე ცეცხლის ხაზზე და მოთმინებით გზავნიდე ტყვიებს სამიზნეში.

მივაღწიე იმას, რომ საქართველოს ტყვიით მსროლელ ქალთა მოწინავე რიგებში ჩავდექი. შარშან წარმატებით დავიცავი რესპუბლიკის სპორტული ღირსება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ მედლებში ჩემი ოქროს მედალიცაა.

დიდი სურვილი მქონდა კარგი მაჩვენებლებით შევხვედროდი საქართველოს სპორტკავშირის II კონფერენციას. გამიმართლა კიდეც. არმიელთა სპორტული კლუბის ტყვიით მსროლელთა ჩემპიონატზე არმიული შაშხანიდან სტანდარტზე (3×20) სროლაში მოვაგროვე 534 ქულა და 13 ქულით გავაუმჯობესე ნ. ერმიშიანის ძველი რესპუბლიკური რეკორდი. იგი კონფერენციას მივუძღვენი.

ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემს კოლეგებს ვუსურვებ — არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, მეტი იმუშაონ ტექნიკის სრულყოფისათვის. საერთო ძალით მოვუპოვოთ რესპუბლიკას ახალი გამარჯვებანი!



ღიდერის პირველი მარცხი

3. სანაძის გადამწყვეტი გური

მოსკოვი, 19 მაისი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ დასკვნით მატჩში თბილისის დინამოელები შეხვდნენ გათამაშების ლიდერს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის გუნდს.

თამაში თავიდანვე ძალიან მაღალ ტემპში წარიმართა. ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ იგრძნობოდა თბილისელთა უპირატესობა, რომელთა მოქმედება უფრო გააზრებული და ყოველმხრივ დახვეწილი იყო.

პირველ პერიოდში ანგარიში არ გახსნილა.

მეორე პერიოდის დასაწყისშივე მოსკოველებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ მეკარე გოგოლაძემ ბრწყინვალედ ითამაშა. ცოტა ხნის შემდეგ მანვე უკუაგდო ძალზე ძნელი ბურთი.

მესამე პერიოდში დინამოელებმა მთელ „მოედანზე" გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია. მეზღვაურთა კართან ბურთი მიიღო კარისკენ ზურგით მყოფმა ჩიქვანაიამ. ყველას ეგონა, რომ იგი ბურთს რომელიმე პარტნიორს გადასცემდა, მაგრამ მან გააკეთა თითქოს შეუძლებელი რამ: იგრძნო მოსკოველთა მეკარის პოზიცია და ბურთი მარცხენა ხელით თავს უკან გადააგდო... პირდაპირ მეტოქეთა კარის კუთხეში.

წუთშესვენების შემდეგ დინამოელებმა უეცრადღებოდ დატოვეს მოსკოველი მარქაროვი, რომელმაც გაათანაბრა ანგარიში.

გამარჯვება მოვიდა მაშინ, როცა თბილისელთა ერთ-ერთი იერიშის დროს ჩიქვანაიამ დროზე შენიშნა მეტოქის კართან თავისუფლად მყოფი სანაძე, დაუყოვნებლივ გადასცა ბურთი და... ანგარიში გახდა 2:1.

ბოლო პერიოდი ორმხრივი, მაგრამ უშედეგო იერიშებით მიმდინარეობდა.

გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ამ თამაშის შემდეგ თბილისის „დინამომ" გადაინაცვლა მეოთხიდან მესამე ადგილზე.

ზ. ჯაფარიძე

მეხუთე გამარჯვება ფინეთში

ჰელსინკი. მეხუთე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართეს საბჭოთა კალათბურთელებმა, რომლებიც ამჯერად ფინეთის დედაქალაქში შეხვდნენ ადგილობრივ ეროვნულ ნაკრებს.

თამაში ძალზე საინტერესოდ და მწვავედ მიმდინარეობდა. იგი დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელ ვაჟთა გუნდის გამარჯვებით — 89:80.

ჩვენს გუნდს ყველაზე მეტი ქულა მისცა ვოლნოვმა — 17.

სსრ კავშირის კალათბურთელები გაემგზავრნენ პარიზს, სადაც ორ ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრას გამართავენ საფრანგეთის ნაკრებთან.

გამოცდილებამ თავისი გაიტანა

ბერლინი. ახალგაზრდობის სრულიად გერმანული ფესტივალის სპორტულ შეჯიბრებებში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა.

როგორც ადგილობრივმა პრესამ აღნიშნა, საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა აჩვენეს მაღალი ოსტატობა, განსაკუთრებით თავისუფალ ვარჯიშში. მაგრამ მასპინძელთა გამოცდილებამ თავისი გაიტანა — მათ გაიმარჯვეს 381,0:376,5.

პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა თბილისელთათვის ცნობილ სპორტსმენს ბ. როდონლას (მისი ჯამი მრავალჭიდში — 77,0).

საბჭოთა ტანმოვარჯიშეთაგან ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვს ლ. გრომოვას (76,1 ქულა, IV ადგილი). ქართველმა სპორტსმენმა ა. ჯანუყაშვილმა VIII ადგილი დაიკავა.

41,1 წამით

ლენინგრადი (ტელეფონით). მოცურავეთა საქალაქო პირველობაზე ბურევესტნიკელმა ლ. ვიქტოროვამ 1.500 მეტრიან თავისუფალი სტილით გაცურა 20 წუთსა და 48,8 წამში, რითაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. იგი 41,1 წამით უკეთესია ძველ მიღწევაზე.

საქართველოს სპორტკავშირის II რესპუბლიკური კონფერენცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვეობის მხარდამხარ, მოძავლის გეგით

საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის

ამხ. გ. ვ. სიხარულიძის საანგარიშო მოხსენებიდან

სურათზე: საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის II კონფერენციის დელეგატთა ერთი ჯგუფი შესვენებისას (მარცხნიდან მარჯვნივ): საავიაციო სპორტის ვეტერანი რ. ფორდანია, სპორტის ოსტატი დ. გვანცელაძე, აჭარის სპორტკავშირის თავმჯდომარე შ. მეავანაძე და დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი პ. მიქაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის გ. ვ. სიხარულიძის საანგარიშო მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათის მონაწილეებმა — რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისა და კოლექტივების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს საქართველოში ფიზკულტურული მოძრაობის და სპორტის განვითარების საჭირბოროტო საკითხებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ კამათის მასალებს.

• • •

საქართველოს საფეხბურთო ფედერაციის, აგრეთვე რაიონულმა სპორტკავშირებმა.

ბევრ ადგილას თითქმის მთლიანად ჩაკვდა ცხენოსნური სპორტის ეროვნული სახეობანი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ცხაკაიას რაიონში, რომელიც არაერთხელ იყო რესპუბლიკის თასის მფლობელი, იპოდრომი დახურეს, ჯიშიანი სპორტული ცხენები კი გადასცეს კოლმეურნეობებს... მუშა-საქონლად.

სულ უფრო ვიწროვდება ლელობურთის გავრცელების გეოგრაფიაც. სპორტის ეროვნული სახეობანი ქართული კულტურის განუყოფელი სიმდიდრეა და მათი დავიწყება ყოველად შეუწყნარებელი დანაშაულია.

აღმზრდელობითი მუშაობა—პრინციპულ სიმაღლეზე

სპორტული კადრების აღზრდის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ჩვენი სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებას. რესპუბლიკაში ბევრია სკოლა და ინსტიტუტი, სადაც ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა კარგადაა დაყენებული. მაგრამ ბევრგან გვხვდება ნაკლოვანებებიც. ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სათავეს იღებენ ფიზაღზრდის მასწავლებელთა არაკვალიფიცირებისაგან, რაც მრავალ რაიონში (სამხრეთ ოსეთში, ზუგდიდში და სხვ.) გვხვდება, აგრეთვე რიგ სპორტულ სკოლებში არადამაკმაყოფილებელი მუშაობისაგან. მცირე გამონაკლისის გარდა, შეტად ცუდად დგას ეს საქმე ტექნიკუმებში და რიგ უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, აგრეთვე ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერულმა კადრებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გაუკეთებელი. არადამაკმაყოფილებელია სტუდენტთა მიღების ორგანიზაცია, სუსტად წარმოებს ბრძოლა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეცნიერული მუშაობის პრაქტიკული ქმედითობისათვის.

საბჭოთა სპორტსმენი მაღალი კულტურის სიმბოლოა. ასეა ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ცალკეული სპორტსმენების უდისციპლინობისა და ამორალობის ფაქტებს. ასე მოიქცნენ, კერძოდ, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელები დონეცკში, სადაც მათ სპორტული ასპარეზის ნაცვლად საზოგადოებრივ ადგილზე უდისციპლინობით „გამოირჩინეს“ თავი და მილიციაშიც კი მოხვდნენ. ასევე უხამსოდ მოიქცა კალათბურთელი ვ. ალთაბაევი და ზოგი სხვაც.

სპორტის პროპაგანდის საკითხები

გამომცემლობანი, კინო, ტელე და რადიო, სპორტული და ახალგაზრდული გაზეთები, — ესაა მძლავრი საშუალება, რითაც ჩვენ შეგვიძლია სულ უფრო ღრმად და ფართოდ შევიტანოთ ფიზკულტურა და სპორტი მასებში, გავუწოთ მათ პროპაგანდა. ეს ნაწილობრივ კეთდება, მაგრამ ზოგჯერ — ცუდად.

ხშირად გამოდის წიგნები ჩვენს გამორჩენილ სპორტსმენებზე, სადაც მათი ნამდვილი, რეალური ცხოვრების ნაცვლად გვხვდება გადამლამებული და ამჩატებული დითირამბები, გაუთავებელი შედარებები „ვეფხვთან“, „ლომთან“ თუ „ლეოპარდთან“. ამ „ზოოლოგიური გამოფენის“ გაცნობისას მკითხველისთვის გაუგებარი რჩება მთავარი — სპორტსმენი-ადამიანი, მისი ნაშდვილი, ძნელი გზა სპორტული ოსტატობის მწვერვალებისაკენ.

ჯერ კიდევ დიდ ვალშია ჩვენი სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების წინაშე ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები — მწერლები, მხატვრები, კინემატოგრაფისტები. ბევრრამ მართებთ გაზეთ „ლელოს“, „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციებსაც.



საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელებმა დონეცკში სპორტული ასპარეზის ნაცვლად საზოგადოებრივ ადგილზე უდისციპლინობით გამოიჩინეს თავი და მილიციაშიც კი მოხვდნენ.

ნახ. გ. იაშვილისა.

წიგნებში გამოჩენილ სპორტსმენებზე მათი რეალური ცხოვრების ნაცვლად გვხვდება ამჩატებული დითირამბები და გაუთავებელი შედარებანი „ვეფხვთან“, „ლომთან“, თუ „ლეოპარდთან“. მკითხველისათვის გაუგებარი რჩება მთავარი — სპორტსმენი-ადამიანი.

სამტრედიის დოსაფის ორი ტირი მიაი მუშაკების „წყალობით“ აზარტული თამაშების თავშესაფარი გახდა.

გ. ვ. სიხარულიძის
საანგარიშო მოხსენებიდან.

III სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტსმენებმა მოიპოვეს 8 ოქროს, 11 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოს მედალი. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენ დავისაკუთრეთ 20 ოქროს, 12 ვერცხლისა და 15 ბრინჯაოს მედალი.

როგორც II, ისე III სპარტაკიადაზე საქართველომ დაიკავა საერთო V სპრიზო ადგილი, ხოლო რესპუბლიკებს შორის — III ადგილი (რსფსრ-სა და უკრაინის შემდეგ).

ზამთრის I სპარტაკიადაზე სამჩვენი სპორტსმენი ჩემპიონი გახდა და ორმა დაიკავა სპრიზო ადგილები.

რესპუბლიკის სპორტსმენებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებაში რომის ოლიმპიურ თამაშებზე. ორი ქართველი სპორტსმენი გახდა ოლიმპიადის ჩემპიონი, ვერცხლის მედლები მოიპოვა 5-მა, ხოლო ბრინჯაოსი — 3-მა. საქართველომ, რომელიც მხოლოდ 16 სპორტსმენით იყო წარდგენილი რომის თამაშებზე, მოპოვებული მედლების რიცხვით გაუსწრო ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა საფრანგეთი, ავსტრია, ესპანეთი, კანადა, ბრაზილია, არგენტინა, ინდოეთი და ბევრი სხვა.

წამოვწიოთ ჩამორჩენილი უბნები

წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ საერთო მაჩვენებლებს ძირს არ სცემდეს ცუდი მდგომარეობა სპორტის ცალკეულ სახეობებში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მძლეოსნობა. ამ სახეობაში სპარტაკიადაზე რამდენიმე ჩვენმა სპორტსმენმა ნულოვანი შეფასება მიიღო.

უკანასკნელ ხანს გულსატკენად დაქვეითდა საქართველოს კალათბურთი. ამან თავი იჩინა არა მარტო წამყვანი გუნდების სამარცხვინო მაჩვენებლებში, არამედ რესპუბლიკის ჩემპიონატებზეც, სადაც აღარაფერია დარჩენილი ადრინდელი წლების პირველობათა მბაფრი სპორტული სულისკვეთებიდან, მაღალი ოსტატობიდან.

ცუდი მდგომარეობაა ველოსპორტში, თანამედროვე ხუთჭიდში, ცურვაში, წყალში ხტომაში.

ეროვნული სახეობანი — ყურადღების ცენტრში

ქართული ჭიდაობა ჭიდაობის სხვა სახეობებშიც ჩვენი გამოჩენილი ფალავნების — მსოფლიო და საკავშირო ჩემპიონების აღზრდის ნაკადი საფუძველია. ეს სპორტი, როგორც მასების ფიზიკური წრთობის შესანიშნავი საშუალება, საუკუნეთა სიღრმეში გამოატარა ჩვენმა ხალხმა და გადმოსცა დღევანდელობას. დღეს კი იგი აღმაფოთებელი გულგრილობითაა მიტოვებული ისეთ ტრადიციულ კერებშიც კი, როგორიცაა საგარეჯო, თელავი, სამხრეთ ოსეთი და სხვ. ასეთი მდგომარეობისთვის პირველ რიგში პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს ქართული ჭიდაობის ფედერაციამ, აგრეთვე რაიონულმა სპორტკავშირებმა.

ბევრ ადგილას ითითქმის მთლიანად ჩაკვდა ცხენოსნური სპორტის ეროვნული სახეობანი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ცხაკაიას რაიონში, რომელიც არაერთხელ იყო რესპუბლიკის თასის მფლობელი, იპოდრომი დახურეს, ჯიშიანი სპორტული ცხენები კი გადასცეს კოლმეურნეობებს... მუშა-საქონლად.

სულ უფრო ვიწროვდება ლელობურთის გავრცელების გეოგრაფიაც. სპორტის ეროვნული სახეობანი ქართული კულტურის განუყოფელი სიმდიდრეა და მათი დავიწყება ყოველად შეუწყნარებელი დანაშაულია.

აღმზრდელობითი მუშაობა—პრინციპულ სიმაღლეზე

სპორტული კადრების აღზრდის საკითხი უშუალოდ უკავშირდება ჩვენი სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებას. რესპუბლიკაში ბევრია სკოლა და ინსტიტუტი, სადაც ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა კარგადაა დაყენებული. მაგრამ ბევრგან გვხვდება ნაკლოვანებებიც. ხარვეზები ხშირ შემთხვევაში სათავეს იღებენ ფიზაღზრდის მასწავლებელთა არაკვალიფიცირებისაგან, რაც მრავალ რაიონში (სამხრეთ ოსეთში, ზუგდიდში და სხვ.) გვხვდება, აგრეთვე რიგ სპორტულ სკოლებში არადამაკმაყოფილებელი მუშაობისაგან. მცირე გამონაკლისის გარდა, შეტად ცუდად დგას ეს საქმე ტექნიკუმებში და რიგ უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, აგრეთვე ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერულმა კადრებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გაუკეთებელი. არადამაკმაყოფილებელია სტუდენტთა მიღების ორგანიზაცია, სუსტად წარმოებს ბრძოლა მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეცნიერული მუშაობის პრაქტიკული ქმედითობისათვის.

საბჭოთა სპორტსმენი მაღალი კულტურის სიმბოლოა. ასეა ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ცალკეული სპორტსმენების უდისციპლინობისა და ამორალობის ფაქტებს. ასე მოიქცნენ, კერძოდ, საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელები დონეცკში, სადაც მათ სპორტული ასპარეზის ნაცვლად საზოგადოებრივ ადგილზე უდისციპლინობით „გამოირჩინეს“ თავი და მილიციაშიც კი მოხვდნენ. ასევე უხამსოდ მოიქცა კალათბურთელი ვ. ალთაბაევი და ზოგი სხვაც.

სპორტის პროპაგანდის საკითხები

გამომცემლობანი, კინო, ტელე და რადიო, სპორტული და ახალგაზრდული გაზეთები, — ესაა მძლავრი საშუალება, რითაც ჩვენ შეგვიძლია სულ უფრო ღრმად და ფართოდ შევიტანოთ ფიზკულტურა და სპორტი მასებში, გავუწოთ მათ პროპაგანდა. ეს ნაწილობრივ კეთდება, მაგრამ ზოგჯერ — ცუდად.

ხშირად გამოდის წიგნები ჩვენს გამორჩენილ სპორტსმენებზე, სადაც მათი ნამდვილი, რეალური ცხოვრების ნაცვლად გვხვდება გადამლამებული და ამჩატებული დითირამბები, გაუთავებელი შედარებები „ვეფხვთან“, „ლომთან“ თუ „ლეოპარდთან“. ამ „ზოოლოგიური გამოფენის“ გაცნობისას მკითხველისთვის გაუგებარი რჩება მთავარი — სპორტსმენი-ადამიანი, მისი ნაშდვილი, ძნელი გზა სპორტული ოსტატობის მწვერვალებისაკენ.

ჯერ კიდევ დიდ ვალშია ჩვენი სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების წინაშე ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები — მწერლები, მხატვრები, კინემატოგრაფისტები. ბევრრამ მართებთ გაზეთ „ლელოს“, „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციებსაც.

საჭიროა „ჯანმრთელობის ზონა“

თბილისს სპორტკავშირის თავმჯდომარემ **გ. რცხილაძემ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა დედაქალაქის სპორტსმენთა მიღწევებზე, რეკორდების, ფიზკულტურელთა რიგების ზრდაზე, გეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე. იგი ფართოდ შეჩერდა ნაკლოვან მხარეებზე. ქალაქში ჯერ კიდევ არ შექმნილა „ჯანმრთელობის ზონა“, დაბალია პოლიტაღმზრდელობითი და საგიტაციო მუშაობა სპორტსმენებთან. სუსტია მწვრთნელთა საქმიანობის კონტროლი, რაც იწვევს მათი პროდუქტიულობის შემცირებას. მსაჯების დიდი ნაწილი გულგრილად ეპყრობა საქალაქო ღონისძიებებს.

მოდით, დაგვეხმარეთ!

აფხაზეთში სპორტის ცალკეული სახეობების (ფრენბურთი, კალათბურთი, ტანვარჯიში, ჭადრაკი, ქართული ჭიდაობა) განვითარების სუსტ ტემპებს დაუთმო თავისი გამოსვლა აფხაზეთის სპორტკავშირის თავმჯდომარემ **ჯ. გუბაზმა.** მან აღნიშნა, რომ სათანადო სიმაღლეზე არაა სასწავლო-სპორტული მუშაობა, ხშირია სპორტსმენთა გამედიდურების ფაქტები. ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობისადმი სუსტმა კონტროლმა გამოიწვია ის, რომ გასულ წელს აფხაზეთის ორგანიზაციების ნაწილში არც ერთი თანრიგოსანი სპორტსმენი არ მომზადებულა. მანვე დააყენა საკითხი ადგილებზე მიელინებულ იქნან რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები საჩვენებელი და სამატრო შეხვედრების, აგრეთვე სემინარების ჩასატარებლად.

უურადღება მასობრიობას, გავშვებს გასაქანი...

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ **უ. ობოლაძემ** კონფერენციის დელეგატების უურადღება მიაპყრო მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე.

— რესპუბლიკის მრავალ სკოლაში ჩვენ გვაქვს კარგად გამართული სპორტული ბაზები, ბავშვთა სპორტსკოლების დიდი ქსელი, გვყავანან ფიზაღზრდის მაღალკვალიფიციური მასწავლებლები, მწვრთნელები... საუკეთესო შედეგებს აღწევენ რესპუბლიკის მოსწავლე-სპორტსმენები მოსწავლეთა საკავშირო ტრადიციულ სპარტაკიადებში.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოგვეთხოვება სისტემატურად, მთელი სიღრმით, -მკაცრად გავაანალიზოთ ბავშვთა სპორტულ მოძრაობაში არსებული ნაკლოვანებანი. სამწუხაროდ, ბავშვთა სპორტში მასობრიობა ჯერ კიდევ არასათანადო სიმაღლეზე დგას.

ჩვენს დედაქალაქში დიდი სამშენებლო სამუშაოებია გაშლილი, მაგრამ არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის ბევრ სხვა ქალაქში ბავშვებს სათამაშოდ გასაქანიც კი არა აქვთ. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: საბურთალოს ახალ რაიონში, სადაც 14 ათასამდე ბავშვი სწავლობს, არც ერთი საბავშვო სპორტული დაწესებულება არ არსებობს. მცირე გამონაკლისის გარდა ეზოებში არ არის მოწყობილი სათამაშო მოედნები...

კიდევ ერთი მაგალითი. სოხუმიდან შემოსულ კორესპონდენციაში შეშობლები გვწერენ: „ჩვენს ბავშვებს „დინამოს“ სტადიონზე სავარჯიშოდ და სათამაშოდ არ უშვებენო“. ასეთი მდგომარეობა ყოველად მოუთმენელია. ბავშვებს მოედნებისა და სტადიონების კარები ფართოდ უნდა გაეღოთ...

(დასასრული მე-3 გვ.)

საქართველოს სპორტკავშირის II რესპუბლიკური კონფერენცია

(დასასრული)

მეტი შეხვედრები, შეჯიბრებები...

საბჭოთა კავშირის ხელბურთელთა ნაკრების წევრმა **ჯ. ცერცვაძემ** ილაპარაკა თბილისის „ბურევესტნიკის“ ავკარგზე. მან აღნიშნა, რომ კოლექტივს ჯერ კიდევ საძიებელი აქვს სიახლენი თამაშის ტექნიკასა და ტაქტიკაში. მისი აზრით, სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების მიზნით საჭიროა შეხვედრების უფრო ხშირად გამართვა. როგორც შინ, ისე „სტუმრად“. საჭიროა აგრეთვე დროდადრო ჩატარდეს ხელბურთელთა ტურნირები მაღალი კლასის გუნდების მონაწილეობით.

ორმოცდაათი პროცენტი — მცირეა

საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილების გამგის **ი. ჩიჩუას** გამოსვლაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულ იქნა პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და მათი ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტსმენების საქმიანობაზე.

— აუცილებელია მუშა-მოსამსახურეთა ისეთი გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ფართო მასშტაბით დანერგვა, როგორიცაა საწარმოო ტანვარჯიში, ტურიზმი, ნადირობა და თევზჭერა. აღინიშნა, რომ საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია რესპუბლიკის პროფკავშირის წევრთა მხოლოდ 50 პროცენტი, რაც არადამაკმაყოფილებელ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.

კადრები წყვეტენ ყველაფერს

ამხრეთ-ოსეთის სპორტსმენებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი არაფერი აქვთ სატრაბახო. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს აქ 3-ჯერ მეტი ღონისძიება ჩატარდა, ვიდრე წინა წლებში, საგრძნობლად იმატა ფიზკულტურელთა რიცხვმაც. უკანასკნელ ხალხთა სპარტაკიადაზე სამხრეთ ოსეთიდან რესპუბლიკის ნაკრებში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი მოზრდილი და 3 მოსწავლე-სპორტსმენი. მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე კი ოსეთის სპორტსმენებმა მხოლოდ მე-7 ადგილი დაიკავეს.

შექმნილი მდგომარეობის მთავარ მიზეზად ორატორმა, სამხრეთ ოსეთის სპორტკავშირის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ჯ. კოჩიევმა** აღნიშნა, რომ ფიზკულტურული განათლების მქონე კადრები ოლქში თითებზე ჩამოსათვლელია. და მართლაც, იმ დროს, როდესაც კადრები წყვეტენ ყველაფერს და ეს კადრები არა გვყავს, რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება თითქმის შეუძლებელი ხდება.

აღმოვფხვრათ გადაბირების მავნე პრაქტიკა

უკანასკნელ პერიოდამდე მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა არასათანადო დონეზე იდგა რესპუბლიკის საშუალო ტექნიკურ სასწავლებლებში, რაც აიხსნება ამ საქმისადმი დირექციების გულგრილი დამოკიდებულებით. რესპუბლიკის საშუალო ტექნიკური სასწავლებლების სპორტსმენები და გუნდები წარუმატებლად გამოდიოდნენ საკავშირო ღონისძიებებზე. საქართველოს საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გატარებულმა გადამჭრელმა ღონისძიებამ სათანადო გზები დასახა მდგომარეობის გამოსწორებისათვის. კვლავ გრძელდება სხვა საზოგადოებების მიერ სტუდენტ-სპორტსმენთა გადაბირების მავნე პრაქტიკა. დაბალია რესპუბლიკაში სარეალიზაციოდ შემოზიდული სპორტული ინვენტარის ხარისხი. ამ და სხვა საკითხებს დაეთმო საქართველოს საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის **შ. რაზმაძის** გამოსვლა.

გავშალოთ საშეფო მუშაობა

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ო. ჩერქეზიამ** თავის გამოსვლაში ილაპარაკა კომკავშირის როლზე ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში, ფარდა ახადა მთელი რიგი კოლექტივების ფიზკულტურული საბჭოების უმოქმედობას. იგი განსაკუთრებით შეჩერდა ბაზების მდგომარეობაზე. თბილისში, „განთიადის“ იმ ბაზაზე, სადაც წვრთნას გადიან მოსწავლეები, მოუწყობელია საშხაპეები. ტრადიციები დაკარგა თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის მოწინავე კოლექტივმა. აქ არადანიშნულებისამებრ იყენებენ ბაზებს, რის გამოც მოჭადრაკეთა პირველობა გამართეს... საპარიკმახეროში.

ორატორმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ხელმძღვანელ ფიზკულტურულ სამუშაოზე ახალგაზრდა კადრების დაწინაურების ნელ ტემპს. მან ილაპარაკა რესპუბლიკის წამყვან მწვრთნელთა არასწორ საქციელზე, რაც გამოიხატება ერთი საზოგადოებიდან მეორეში მათ მიერ აღზრდილი სპორტსმენების გადაბირებაში. მოწოდების დონეზე არ დგას საშეფო მუშაობა, ხშირად შეფები დახმარების ნაცვლად ორგანიზაციების საქმიანობას ხელს უშლიან.

ტენდენციაც არის და ტენდენციაც

—ჩვენმა ფრენბურთელებმა, განსაკუთრებით ბავშვთა ნაკრებმა გუნდებმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე ხელშესახები წარმატებები მოიპოვეს, საანგარიშო პერიოდში მომზადდა 22 სპორტის ოსტატი, — აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ **ჯ. ლომინაძემ.** შემდეგ იგი შეეხო ფრიად სერიოზულ საკითხს. საქმე იმაშია, რომ ამ ბოლო ხანს დამკვიდრდა ერთი მეტად მავნე ტენდენცია: კოლექტივებისაგან კატეგორიული მოთხოვნა — რადაც უნდა დაუჯდეთ, აიღონ პირველი ადგილი. ეს თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ იგი მავნეა მაშინ, როცა ადგილებზე მხოლოდ ამ საქმით იფარგლებიან —თავს აკლავენ ერთ კოლექტივს და სხვებს ყურადღებას არ აქცევენ. ამგვარ ვითარებაში გვერდზე რჩება მთავარი— ფრენბურთის საყოველთაო დანერგვა მასებში. ადგილებზე არის ასეთი ტენდენციაც — მთელი ძალები მოახმარონ სპორტის როშელმე სახეობას, უმეტეს შემთხვევაში, ფეხბურთს. ასეა რაიონებში, ქალაქებში, სპორტსაზოგადოებებში. არავის მოსდის აზრად ის, რომ ყოველი ტენდენციის ცხოვრებაში გატარება უნდა ხდებოდეს ადგილობრივი პირობებისა და საშუალებათა გამოყენებით.

მძლეოსნებს მეტი მუშაობა მართებთ

—კროსების ჩატარებისას ხშირად შეიძლება აღმოაჩინოთ საშუალო და გრძელ დისტანციებზე კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენები, — აღნიშნა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ე. გოკიელმა.** ჩვენ სწორედ კროსებზე უნდა ვეძიოთ ნიჭიერი ახალგაზრდები. საქართველო მძლეოსნობაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ერთ, IX ადგილს კატეგორიებს. ესაა ჩვენი ტრადიციული „მიღწევა“ საკავშირო სარბიელზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანს ჩვენმა მოსწავლეებმა შესამჩნევ წარმატებას მიაღწიეს — ჭაბუკებმა ვოლგოგრადში საკავშირო სპარტაკიადაზე მეოთხე ადგილი დაიკავეს. საჭიროა უფროსებმაც გადაინაცვლონ წინ, ამისათვის კი მათ მეტი მუშაობა მართებთ.

დასასრულს ორატორმა დააყენა საკითხი, რომ დროა რესპუბლიკაში შეიქმნას მძლეოსნური სტადიონების ფართო ქსელი.

ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად

უფროსი და საშუალო ასაკის მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ფართოდ გაშლის აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარის **ლ. ახვლედიანის** გამოსვლაში. იგი ფართოდ შეეხო ქუთაისში წყალჯომარდობის განვითარების ხელშემშლელ პირობებს, ფიზკულტურელთა ძალებით ბაზების მოწყობის კარგი პრაქტიკის დანერგვას. მან კონფერენციას პირობა მისცა, რომ ქუთაისის ორგანიზაციები, რომლებმაც ხუთ წელიწადში შეასრულეს სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, კვლავ დაუღალავად იბრძოლებენ მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

საწარმოთა ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობას მიეძღვნა სპორტკლუბ „განთიადის“ დელეგატის **ი. ხვედელიანისა** და „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის **ი. ბოჭორიძის** სიტყვები.

კონფერენციას მიესალმა თბილისის ნორჩ პიონერთა დელეგაცია.

დასასრულ კონფერენციაზე ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. პ. ა. როდიონოვი.

სურათზე: კონფერენციის სხდომათა დარბაზი.

დღეს ლუჟნიკზე

საბჭოთა და ურუგვაელ ფეხბურთელთა ჭიდილი

ჩვენს ქვეყანაში ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრის ჩასატარებლად ჩამოვიდა ურუგვაის ფეხბურთელთა გუნდი. დღეს იგი მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ხვდება საბჭოთა ნაკრებს.

ურუგვაელ ფეხბურთელებს დიდი ავტორიტეტი აქვთ საერთაშორისო სპორტულ წრეებში. წარსულში ისინი ორჯერ იყვნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები (1924, 1928 წ. წ.) და ორჯერ — მსოფლიო ჩემპიონები (1930, 1950 წ. წ.). ამ პატარა ქვეყნის გუნდი გამოირჩევა შესანიშნავი, დახვეწილი ტექნიკით და სისწრაფით, თუმცა გარკვეული ჩამორჩენა თანამედროვე ტაქტიკაში მას ხელს უშლის კვლავ დაუბრუნდეს მსოფლიოს ფეხბურთის მწვერვალებს.

სწორედ ტაქტიკური ჰორიზონტის გაფართოებისა და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების მიზნით ჩამოვიდნენ ურუგვაელები ევროპაში, რათა უკეთ გაეცნონ ამ კონტინენტის უძლიერეს გუნდებს, აღლო აუღონ თამაშის ევროპულ სტილსა და მანერას. ურუგვაელთა ნაკრები შედგენილია ახალგაზრდა პერსპექტიულ მოთამაშეთაგან, რომელთა უმრავლესობა 23 წლისაც არაა. გუნდის მწვრთნელმა მილანსმა უარი თქვა თავისი ქვეყნის წამყვანი კლუბების—„ნასიონალისა“ და „პენიაროლის“ ფავორიტების სამსახურზე და ამ ცნობილი კლუბებიდან გამოიყენა მხოლოდ ერთი თავდამსხმელი — სპენსერი („პენიაროლი“).

მილანსი კმაყოფილია თავისი ახალი ნაკრებით. მისი სიტყვებით, გაახალგაზრდავებული გუნდი სულ უფრო და უფრო აუმჯობესებს თამაშს მატჩიდან მატჩამდე. მართალია, აფრიკაში მოგებული ორი შეხვედრის შემდეგ (5:4 სენეგალში და 1:0 მაროკოში), ურუგვაელებმა ორი დამარცხება იწვნიეს ჩრდილოეთი ირლანდიისა (0:3) და ინგლისის (1:2) გუნდებისგან, მაგრამ საუკეთესოდ ჩაატარეს ბოლო მატჩი ვენაში, სადაც ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ავსტრიის ნაკრები გუნდი.

ამრიგად, ურუგვაელთა პროგრესი სახეზეა. ამიტომ დღევანდელი მოსკოვის მატჩი ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ურუგვაელთა მონაწილეობით, დიდ ინტერესს იწვევს.

* * *

სურათზე: სსრ კავშირისა და ურუგვაის მატჩის ერთ-ერთი მომენტი, რომელიც 1962 წელს შედგა მოსკოვში. ბურთით — საბჭოთა ნაკრების წევრი გ. ჩიხელი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ცვლილებანი ნაკრებში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ახალი განაცხადი გაგზავნა ევროპის ქვეყნების ასოციაციათა კავშირში 27 მაისის მატჩში ევროპის თასზე მონაწილეობისათვის შვეიცის ნაკრებთან.

პირველ განაცხადთან შედარებით სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში მოხდა ცვლილებანი. ვ. კოროლენკოვის, ა. ბიბას, გ. კრასნიცკისა და ჯ. ტუაევის ნაცვლად მასში შეეყვანილი არიან ვ. მასლოვი, ვ. ანიჩკინი („დინამო“, მოსკოვი), ვ. პონედელნიკი (სკა. როსტოვი) და ლ. ბურჩალკინი („ზენიტი“, ლენინგრადი).

წინ კვლავ „პახტაკორია“

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

ბოლო ტურის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა მატჩი ტაშკენტში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ტურნირის ლიდერი — ადგილობრივი „პახტაკორი“ და წამყვან ჯგუფში მყოფი ოდესის „ჩერნომორეცი“. ტაშკენტელებმა კვლავ ძლიერად ჩაატარეს თამაში და დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 2:0. ახლა „პახტაკორს“ 8 მატჩის შემდეგ 13 ქულა აქვს და ბურთების საუკეთესო სხვაობით (18—6) სათავეში უდგას გათამაშებას.

ლ. იაშინისა და ვ. ვორონინის გამგზავრება

მოსკოვი. საბჭოთა ფეხბურთელები ლ. იაშინი და ვ. ვორონინი გუშინ გაფრინდნენ კოპენჰაგენს. აქ ისინი მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო მატჩში სკანდინავიის ნაკრები — ევროპის ნაკრები.

გრძელი ოსტატის წოდებისათვის

სოხუმი, 19 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მონაწილეებს მოსკოვიდან მოუვიდათ ცნობა, რომ პირველ 5 ადგილზე გამოსულთ მიენიჭებათ სპორტის ოსტატის წოდება. ამან კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა.

მორიგი ტურის ყურადღების ცენტრში იყო პარტიები გაფრინდაშვილი — ბიკოვა და რანიკუ — ნედელკოვიჩი.

გაფრინდაშვილმა გაითამაშა სიცილიური დებიუტი და მალე პაიკიც მოიგო. ამ უპირატესობის რეალიზაცია თითქოს აღარ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა დროზე ვერ ნახა სწორი გაგრძელება და პარტია გაჭიანურდა. გადადებულ პოზიციაში გაფრინდაშვილმა შეინარჩუნა ორი მხედარი და გამსვლელი პაიკი მოწინააღმდეგის ეტლში. მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

სიცილიური დებიუტი გათამაშდა რანიკუსა და ნედელკოვიჩის პარტიაშიც. რანიკუს ძლიერი ცენტრი ჰქონდა შექმნილი, როცა მისმა მოწინააღმდეგემ მოიგო ხარისხი. ნედელკოვიჩი თითქოს სულ ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ იგი დიდ დროს ხარჯავდა სვლების მოფიქრებაზე და მალე მისი ალამიც ჩამოვარდა. ეს ნედელკოვიჩის პირველი მარცხია ტურნირში.

ყაიმით დამთავრდა პარტიები კარაკაში — ჩაიკოვსკაია და ბუცხრიკიძე — კელერ-გერმანი. ალექსანდრიამ შესამჩნევი პოზიციური უპირატესობით გადადო შეხვედრა ასენოვასთან. ბელავენეცი უგებს ტეოდორესკუს.

8 ტურის შემდეგ ტურნირს კვლავინდებურად ლიდერობს გაფრინდაშვილი, რომელსაც 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან რანიკუ — 5 ქულა, ნედელკოვიჩი და კელერ-გერმანი — 4,5 ქულა თვითეულს, ჩაიკოვსკაია — 4 ქულა და 2 გადადებული პარტია.

საიმედო ცვლა

დაიწყო საქართველოს სოფლის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრების მეორე ეტაპი მძლეოსნობაში — „ოლიმპიურნის“ რაიონული საბჭოების პირველობანი, რომლებმაც უნდა გამოავლინონ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის ფინალში მონაწილე გუნდები და სპორტსმენები.

ერთი ამგვარი ღონისძიება — გარდაბნის რაიონის სოფლის სკოლების პირველობა — გაიმართა თბილისში „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. გამარჯვებისათვის იბრძოდა 12 გუნდი. უძლიერესი აღმოჩნდა ახალი სამგორის სკოლის კოლექტივი.

შეჯიბრება ტარდებოდა ორ ასაკობრივ ჯგუფში (1948-49 და 1950-51 წლებში დაბადებულები) ცალ-ცალკე. მისასალმებელია, რომ რაიონის ამ ღონისძიებაზე გაცილებით მეტმა ფიზკულტურელმა მოიყარა თავი, ვიდრე წინა ანალოგიური შეჯიბრებისას, უკეთესი იყო მაჩვენებლებიც. მონაწილეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეასრულა III და მოზარდთა I თანრიგის ნორმები. აღსანიშნავი არიან სამგორელი ბერთვის მკვრელები — ჭაბუკი ო. მოსიკაშვილი (გაიმარჯვა შედეგით 13 მ 32 სმ) და გოგონათა შორის უძლიერესი—ხ. სიხაური (11 მ 85 სმ). მათი შედეგები აღემატება III თანრიგის ნორმატივს.

საზონათშორისო ტურნირის წინ

დღეს ამსტერდამში იხსნება ფიდე-ს VI საზონთაშორისო ტურნირი. 24 დიდოსტატსა და ოსტატს, რომლებმაც წარმატებით გადალახეს პირველი ეტაპი, ახლა მოუწევთ გაარკვიონ, თუ მიხეილ ბოტვინიკსა და პაულ კერესთან ერთად რომელ მათგანს ხვდება წილად საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლის უფლება.

ტურნირის გახსნის წინ ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა დაურეკა საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელს, მსოფლიო ექს-ჩემპიონს მაქს ეივეს.

მაქს ეივე: იმედები და პროგნოზები

— ჩვენ ყველაფერი მზად გვაქვს, — თქვა დოქტორმა ეივემ, — ტურნირის მონაწილენი ამსტერდამში არიან და ცხოვრობენ ოტელ „ინდერესში“ — ქალაქის ცენტრში. ტურნირი შედგება ჰოლანდიის სადაზღვევო კომპანიის „გემეენშაპელიკის“ შენობაში. ამ ლამაზ ნაგებობას სრული საფუძვლით შეგვიძლია ვუწოდოთ „საჭადრაკო“, — აქ უკვე ჩატარდა რამდენიმე დიდი შეჯიბრება.

ზონალური ტურნირი პირველად ტარდება ახალი რეგლამენტით: თამაშის დღეებში მონაწილეები 5 საათის ნაცვლად ითამაშებენ შვიდს. არბიტრად მოწვეულია საბჭოთა დიდოსტატი ფლორი.

— დოქტორო ეივე, ბულგარეთში ჩატარებულ უკანასკნელ ოლიმპიადაზე თქვენ გამოთქვით აზრი, რომ „სუპერკლასის მოჭადრაკეთა დამჯერებელი უპირატესობა ახლა არ არის“. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამსტერდამში შესაძლებელია სიურპრიზები და ექვს გამარჯვებულს შორის ახალი სახელების გამოჩენა?

— არ ვფიქრობ. მოულოდნელი შეიძლება აღმოჩნდეს ცალკეული პარტიების შედეგები. მე მიმაჩნია, რომ პრეტენდენტთა ტურნირში თამაშის უფლების მოპოვების ყველაზე დიდი შანსები აქვთ საბჭოთა დიდოსტატებს, აგრეთვე პორტიშს, გლიგორიჩს, პახმანსა და ლარსენს. განსაკუთრებით მხიბლავს უნგრელი დიდოსტატის პორტიშის თამაში. ყურადღებით ვაკვირდებოდი მის გამოსვლას ბეოერვიკის ტურნირზე. ეს მოჭადრაკე, რომელსაც დახვეწილი პოზიციური შეგრძნება აქვს, თავის საუკეთესო პარტიებში მაგონებს კაპაბლანკას.

საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს ლარსენის თამაში. იგი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში შევიდა. დანიელ დიდოსტატს მწვავე კომბინაციური ნიჭი აქვს, ყოველ პარტიაში შეტევისაკენ მიისწრაფის და არ ეშინია გადაიჭრას უკანდასახევი გზები.

გლიგორიჩისა და პახმანის დახასიათებას აზრი არა აქვს: მათ უკვე გამოიჩინეს თავი, როგორც გამოცდილმა სატურნირო მებრძოლებმა.

— ტრადიციული კითხვა: ვინ იქნება ტურნირში გამარჯვებული?

— ერთი კვირის წინ მე ვუპასუხებდი: ერთ-ერთი საბჭოთა დიდოსტატი ან ფიშერი. ახლა, როცა ამერიკის ჩემპიონმა თამაშზე უარი განაცხადა, შემიძლია უფრო გარკვევით გითხრათ: გაიმარჯვებს საბჭოთა დიდოსტატი.

— თქვენ თვლით, რომ საბჭოთა მოჭადრაკეებს თანაბარი შანსები აქვთ?

— დიახ, ამ ხუთეულიდან ნებისმიერი მოჭადრაკე ღირსია იყოს პირველი. ტალისთვის მთავარია კარგად გრძნობდეს თავს, ჯანზე იყოს. მისი არაჩვეულებრივი საჭადრაკო ტალანტი ახლა ისევე ბრწყინავს, როგორც ადრე. სმისლოვი უკანასკნელ წლებში ცოტას თამაშობდა, მაგრამ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიბრუნოს მსოფლიო ჩემპიონის დაკარგული წოდება. შტეინმა ჯერ კიდევ წინა ზონალურ ტურნირში დაამტკიცა თავისი ექსტრა-კლასი. ახლა მისი სტილი უფრო ჰარმონიული გახდა.

სპასკი მაგონებს ბრონშტეინს საუკეთესო წლებში. ჩანაფიქრთა სიღრმე და ორიგინალურობა, უშიშრობა შეტევაში, მოსაზრებულობა დაცვაში — აი, ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატის ძლიერი მხარეები, რაც შეეხება ბრონშტეინს, მას თითქოს „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა. ახლა იგი თამაშობს უფრო მკაფიოდ, მხნედ.

— ფავორიტებზე ლაპარაკის დროს თქვენ არაფერი თქვით რეშევსკის შესახებ.

— მე არ ვთვლი რეშევსკის ფავორიტად — მას ხშირად სდევს წარუმატებლობა. ეს გასაგებიცაა: რეშევსკი 50 წელს გადაცილდა. ამ ასაკში თამაში კი თანდათან ძნელი ხდება.

— ზონალურ ტურნირში მონაწილეობაზე ფიშერის უარი გახდა „სენსაცია ნომერი პირველი“. ხომ არ გეჩვენებათ ასეთი გადაწყვეტილება საოცრად? ამერიკელ ჩემპიონს ხომ არაერთხელ განუცხადებია, რომ მისი ცხოვრების მიზანია გახდეს მსოფლიოს პირველი მოჭადრაკე?

— ფიშერის გადაწყვეტილება ჩემთვის გამოცანად რჩება. მიკვირს: სინჯე უკანასკნელ ტურნირებში. ითამაშები ბევრი, ბევრ პრიზს ებრძვი და ვთქვა: ფიშერის თამაში უფრო მომწიფებული, ღრმა და შინაარსიანი ხდება. იგი ბევრს მუშაობს თეორიაზე. თავისი ქვეყნის ჩემპიონატში მისმა სადებიუტო სიურპრიზებმა ბევრი უსიამოვნება მიაყენა მეტოქეებს, ფიშერის მიერ მიღწეული საუკეთესო შედეგი — 11 ქულა 11 შესაძლებლიდან — ადასტურებს მის საუკეთესო სპორტულ ფორმას. შეიძლება მხოლოდ სინანული გამოვთქვათ, რომ ნიჭიერი დიდოსტატი არ ითამაშებს ამსტერდამში. მისი მონაწილეობა, უდავოდ, ბრძოლას უფრო დაძაბულსა და საინტერესოს გახდიდა.



ამბობენ, ტოკიოს ოლიმპიადა ორგანიზაციითა და კეთილმოწყობით დაჩაგრავს ყველა თავის წინამორბედს. ოლიმპიადის დღეებში ტოკიოში დემონსტრირებულ იქნება ტექნიკის ბევრი მიღწევა. ერთ-ერთი მთგანია ოლიმპიური ტრასა, რომლის გაყვანა უკვე დამთავრდა. სურათზე თქვენ ხედავთ ოლიმპიადის მაგისტრალს, რომელმაც თამაშების დღეებში უნდა განტვირთოს ქალაქის ისედაც გადატვირთული მოძრაობა.

დ. ბრონშტეინი: ვასახელებთ სამშოგზოს

ამსტერდამის საზონთაშორისო ტურნირი ხსნის საჭადრაკო გვირგვინისთვის ბრძოლის სამწლიან ციკლს: 1964 წელი — საზონთაშორისო ტურნირი, 1965 წელი — პრეტენდენტების (საზონთაშორისო ტურნირში ექვსი გამარჯვებული, მ. ბოტვინიკი და პ. კერესი) მატჩ-ტურნირი, 1966 წელი—პრეტენდენტის მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან — ტ. პეტროსიანთან. ამიტომ საზონთაშორისო ტურნირი მიმდინარე წლის სპორტული სეზონის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა.

ტურნირში 24 მოჭადრაკე ითამაშებს. მათ გამოსავლინებლად საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ მსოფლიო ათ ზონად დაჰყო და ყველგან გამართა ზონალური ტურნირი, პერსონალურად კი მხოლოდ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი მიიწვია.

ვინ არიან საზონთაშორისო ტურნირის მონაწილენი?

ევროპის I ზონიდან: დიდოსტატები პორტიში (უნგრეთი), ლარსენი (დანია), ივკოვი (იუგოსლავია);

ევროპის II ზონიდან: დიდოსტატი გლიგორიჩი (იუგოსლავია), ოსტატები ლენდიელი (უნგრეთი), დარგა (გფრ);

ევროპის III ზონიდან: დიდოსტატები ტრინგოვი (ბულგარეთი), პახმანი (ჩეხოსლოვაკია), ბილეკი (უნგრეთი);

IV ზონიდან — საბჭოთა კავშირიდან: დიდოსტატები სმისლოვი (მას სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ პერსონალურად დაუთმო ადგილი), ბრონშტეინი, სპასკი, შტეინი;

V ზონიდან — ამერიკის შეერთებული შტატებიდან: დიდოსტატები რეშევსკი, ბენკო და ევანსი (მონაწილეობს ფიშერის ნაცვლად, რომელმაც უარი განაცხადა თამაშზე).

VI ზონიდან — კანადიდან: ოსტატი იანოვსკი;

VII ზონიდან — ცენტრალური ამერიკიდან: ოსტატი პერესი (კუბა);

VIII ზონიდან — სამხრეთ ამერიკიდან: დიდოსტატი როსეტი, ოსტატი ფოგელმანი (ორივენი — არგენტინიდან) და კვინენესი (პერუ).

IX ზონიდან — დასავლეთ აზიიდან: პორატი (ისრაელი).

X ზონიდან — აღმოსავლეთ აზიიდან: ოსტატი ბერგერი (ავსტრალია).

უნდა აღინიშნოს, რომ ფიდე-ს გადაწყვეტილებით პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში ერთი ქვეყნიდან შეიძლება მოხვდეს მხოლოდ 3 მოჭადრაკე. პრაქტიკულად ეს ნიშნავს: საბჭოთა მოჭადრაკეებმა საზონთაშორისო ტურნირში პირველი ხუთი ადგილიც რომ დაისაკუთრონ, პრეტენდენტებში მხოლოდ პირველი სამი გავა.

საკმარისია თვალის უბრალო გადავლება, რომ შევამჩნიოთ ტურნირის მეტად ძლიერი შემადგენლობა. ასეთი „ხალხმრავალი“ ტურნირი თითქმის 70 წელია არ ჩატარებულა. ამიტომ იგი იქნება არა მარტო მონაწილეთა საჭადრაკო ძალისა და ცოდნის შემოწმება, არამედ მათი საბრძოლო თვისებების, ფიზიკური გამძლეობისა და მორალური სიმტკიცის გამოცდაც.

ტურნირის ყველა მონაწილე დიდი ხანია ემზადება საბრძოლველად.

მოსკოვიდან ამსტერდამში გამგზავრების წინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ტელეფონით ესაუბრა ბრონშტეინს. სახელოვანმა დიდოსტატმა თქვა:

— დაბეჯითებით ვიცი ერთი რამ: საბჭოთა მოჭადრაკეებს ბრძოლა გვწყურია. არ ვიცი, ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ კარგად მესმის ჩემი ამოცანა — უნდა ვიბრძოლო პროგრამა-მინიმუმის შესასრულებლად — მოვხვდე ექვსეულში. მართალია, ტურნირში მეტად დაკავებული ვიქნები, მაგრამ ვღებულობ წინადადებას და ვიქნები გაზეთ „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ამსტერდამიდან.

საუბრის დასასრულს დავით ბრონშტეინმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა დიდოსტატები ასახელებენ თანამემამულეებს.

თ. გიორგაძე

ი. სმოლიკი არ თმობს პოზიციებს

მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილენი გუშინ ისვენებდნენ, დღეს კი ისინი დატოვებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას და ეტაპს ჩეხოსლოვაკიის საკურორტო ქალაქ კარლოვი ვარში დაამთავრებენ.

ჯერჯერობით (9 ეტაპის შემდეგ) ერთპიროვნულ ლიდერად ითვლება გდრ-ის გუნდი.

ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენი ი. სმოლიკი ბრწყინვალედ გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ხელთ იგდო რბოლის ლიდერობა.

აშკარად არ უმართლებთ საბჭოთა სპორტსმენებს. მართალია, VI ეტაპზე გამარჯვებამ ისინი მე-7 ადგილიდან ერთით წინ გადაიყვანა, მაგრამ ეს შედეგი არამც და არამც არ არის დამაკმაყოფილებელი. უძლიერესთა ათეულში ორი საბჭოთა ველოსმრბოლია — ვ. კაპიტონოვი (მე-8 ადგილი) და ა. კულიბინი (მე-9 ადგილი).

9 ეტაპის შემდეგ ველოსრბოლის ტექნიკური შედეგები ასე გამოიყურება: გუნდური ჩათვლა. 1. გდრ — 95:23.19, 2. რუმინეთი — 95:27.41, 3. პოლონეთი — 95:29.15, 4. ჩეხოსლოვაკია — 95:35.15, 5. უნგრეთი — 95:41.28, 6. საბჭოთა კავშირი — 95:43.52.

პირადი ჩათვლა. 1. სმოლიკი (ჩეხოსლოვაკია) — 31:00.56, 2. ჰოფმანი (გდრ) — 31:08.27, 3. ვიდემანი (გდრ) — 31:08.37, 4. კუდრა (პოლონეთი) — 31:08. 54, 5. ზაპალა (პოლონეთი) — 31:08.57, 6. აპლერი (გდრ)—31:09.37.

საბჭოთა ნაკრებში უძლიერესი ვ. კაპიტონოვი რბოლის ლიდერს—ი. სმოლიკს 9 წუთით ჩამორჩება, ხოლო ჩვენი გუნდი გერმანიის ნაკრებს — 20 წუთზე მეტით.

* * *

სურათზე: ი. სმოლიკი.

წუთები, წამები, მეჯრები...

ცნობები ლენინგრადიდან

აქ გაიმართა ოლიმპიელ მძლეოსანთა საცდელი სტარტები და ნაჩვენები იქნა საზაფხულო სეზონის დასაწყისისთვის საკმაოდ მაღალი შედეგები. ქვემოთ მოგვყავს ტექნიკური მაჩვენებლები:

ქალები: რბენა 100 მ — გ. პოპოვა — 11,4, 200 მ — გ. პოპოვა — 24,2, 80 მ თარჯრბენი — ი. პრესი — 10,6, სიმაღლეზე ხტომა — ტ. ჩენჩიკი და ო. ლევონენკო — ორივე 1,70 მ, სიგრძეზე ხტომა — ტ. შელკანოვა — 6,22 მ, ბირთვი — გ. ზიბინა — 17,03 მ (მიმდინარე წლის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში), ბადრო — ლ. იაკოცევა — 53,70 მ, შუბი — ა. კუხარევა— 52,99 მ, ხუთჭიდი — ო. კარდაში — 4.617 ქულა.

ვაჟები: რბენა 100 მ — ნ. პოლიტიკო და ბ. ზუბოვი — 10,3, 200 მ — ბ. ზუბოვი — 21,0, 110 მ თარჯრბენი — ა. მიხაილოვი—13,8 (საუკეთესო შედეგი ევროპაში მიმდინარე წელს), სიმაღლეზე ხტომა — ვ. ბრუმელი — 2,15 მ, ა. ხმარსკი — 2,15 მ (რ. შავლაყაძემ დაიკავა III ადგილი — 2,10 მ), სიგრძეზე ხტომა — ლ. ბარკოვსკი — 7,65 მ, ჭოკით ხტომა — გ. ბლიზნეცოვი — 4,65 მ, ბირთვი — ი. ლიპსნისი — 19,23 მ (მიმდინარე წლის საუკეთესო შედეგი ევროპაში), ბადრო — ვ. კომპანიეცი — 55,25 მ, შუბი — ვ. აქსიონოვი — 80,87 მ, ურო — ი. ნიკულინი — 67,51 მ.

დოღარეგის ძეგნაში

კანადას განზრახული აქვს ოლიმპიურ თამაშებში 103 სპორტსმენი გამოიყვანოს. კანადელთა სურვილია მონაწილეობა მიიღონ სპორტის 14 სახეობაში — მძლეოსნობაში, კრივში, აკადემიურ, საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში, საცხენოსნო სპორტში, ფარიკაობაში, ბალახის ჰოკეიში, სროლაში, ცურვასა და წყალში ხტომებში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში, საიალქნო სპორტსა და ძიუ-დოში.

მაგრამ კანადელთა გეგმები შეიძლება არ გახორციელდეს, რადგან ადგილობრივ ოლიმპიურ კომიტეტს საჭირო სახსრები არ გააჩნია. კანადის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა საზოგადოებრიობას, კერძო პირებსა და სამრეწველო ფირმებს მიმართა მოწოდებით — „დოლარებით დაეხმარონ ოლიმპიელებს“.

ვნახოთ, რას მოუტანს ეს მოწოდება კანადის ოლიმპიურ კომიტეტს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდ ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.